

MAIN LEGAL MODELS OF PERSONAL DATA PROTECTION AND MODERN CHALLENGES OF THE REGULATION: A COMPARATIVE ANALYSIS

Salome Dolidze

PhD student of the School of Law at Grigol Robakidze University, Lawyer at the Legal Support Service of the Adjara Public Broadcaster TV and Radio, Personal Data Protection Officer at Batumi City Hall, Invited Lecturer at LEPL – Teaching University – Batumi State Maritime Academy, Georgia, Batumi

Email: salome.dolidze92@gmail.com

ABSTRACT

In the era of digital transformation, personal data protection represents a fundamental challenge. This research aims to present a comparative analysis of personal data categorization and its legislative regulation in a global context, which includes both evaluating the effectiveness of existing regulations and identifying prospective challenges.

The research methodology is based on comparative legal analysis, through which legislative approaches across multiple jurisdictions have been thoroughly examined, with particular emphasis on the General Data Protection Regulation (GDPR) and its implementation practices. The research has identified three fundamental models of personal data protection: the European model, characterized by a strict regulatory framework and high standards of data subjects' rights; the American model, based on sectoral regulation; and the Asian model, which represents a hybrid approach considering cultural specificities.

The study has revealed significant challenges in achieving an optimal balance between technological progress and privacy protection, particularly in the context of artificial intelligence, big data, and digital platforms. The research findings have practical value for both legislative policy formation and the development of organizational data protection strategies. In conclusion, the study confirms the imperativeness of a holistic approach that combines normative regulation, technological innovation, and public awareness raising for the development of a data protection culture.

KEYWORDS: Personal information, Digital transformation, Regulatory framework

შესავალი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს თანამედროვე ციფრულ ეპოქაში, სადაც ყოველდღიური ონლაინ აქტივობების შედეგად იქმნება უზარმაზარი მოცულობის პერსონალური ინფორმაცია. კვლევის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის გლობალური მიდგომების სისტემური ანალიზი და თანამედროვე გამოწვევების იდენტიფიცირება.

კვლევის საგანია პერსონალურ მონაცემთა კატეგორიზაცია და მათი დაცვის სამართლებრივი მექანიზმები სხვადასხვა იურისდიქციაში. კვლევის მიზანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის არსებული მოდელების შედარებითი ანალიზი და თანამედროვე გამოწვევების იდენტიფიცირება. ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: პერსონალურ მონაცემთა კატეგორიების სისტემატიზაცია, საკანონმდებლო რეგულირების მოდელების შედარებითი ანალიზი და თანამედროვე ტექნოლოგიური გამოწვევების შესწავლა.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული მიდგომების სისტემატიზაციაში, ხოლო პრაქტიკული მნიშვნელობა ვლინდება კვლევის შედეგების გამოყენების შესაძლებლობაში როგორც საკანონმდებლო პოლიტიკის შემუშავებისას, ისე ორგანიზაციული მონაცემთა დაცვის სტრატეგიების დაგეგმვისას.

მოცემული კვლევა შერეული მეთოდოლოგიის პრინციპებს ეყრდნობა, რაც გულისხმობს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების ინტეგრირებულ გამოყენებას. კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო მოიცავს დოკუმენტური ანალიზის კომპლექსურ სტრატეგიას, რომლის მთავარი მიმართულებებია:

დოკუმენტების სისტემური შესწავლა, რომელიც გულისხმობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სიღრმისეულ ანალიზს, GDPR-თან შედარებით შესწავლას და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კომპარატიულ კვლევას.

წყაროთა მრავალფეროვნება უზრუნველყოფილია ოფიციალური საკანონმდებლო დოკუმენტების, საერთაშორისო ანგარიშებისა და კვლევების ინტეგრირებული გამოყენებით.

კვლევის შეზღუდვები მკაფიოდ არის განსაზღვრული: დროითი ჩარჩო მოიცავს 2020-2023 წლებს, გამოყენებულ იქნა მხოლოდ ხელმისაწვდომი საჯარო წყაროები, ხოლო ანალიზი დაეფუძნა პირველად და მეორად წყაროებს.

მონაცემთა ანალიზი ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ მეთოდს: კონტენტ-ანალიზს, შედარებით ანალიზსა და დოკუმენტების სისტემურ ინტერპრეტაციას.

პერსონალური მონაცემები: ძირითადი ცნებები და კატეგორიები

თანამედროვე საინფორმაციო სამყაროში პერსონალური მონაცემი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცნებას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. მაგრამ რას წარმოადგენს პერსონალური მონაცემი და როგორია მისი ძირითადი მახასიათებლები?

პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც საშუალებას იძლევა, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მოხდეს კონკრეტული ადამიანის იდენტიფიცირება. ეს შეიძლება იყოს როგორც მარტივი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, ისე რთული, კომპლექსური

მონაცემების ერთობლიობა, რომელიც აღწერს პიროვნების სხვადასხვა მახასიათებელს.¹

პერსონალური მონაცემები იყოფა ორ ძირითად კატეგორიად: ზოგადი და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.²

ზოგადი კატეგორიის მონაცემებში შედის ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა:

- სახელი და გვარი – პიროვნების პირველადი საიდენტიფიკაციო მონაცემი;
- დაბადების თარიღი – რომელიც განსაზღვრავს პირის ასაკს;
- საცხოვრებელი მისამართი – პირის ადგილმდებარეობის მაჩვენებელი;
- საკონტაქტო ინფორმაცია – ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა;
- განათლებასთან დაკავშირებული მონაცემები;
- სამუშაო გამოცდილება და პროფესიული საქმიანობა.³
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მოიცავს უფრო სენსიტიურ ინფორმაციას:
- ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამედიცინო ისტორია;
- რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებები;
- ეთნიკური და რასობრივი წარმომავლობა;
- გენეტიკური და ბიომეტრიული მონაცემები;

- სექსუალური ორიენტაცია;
- ნასამართლეობა და ადმინისტრაციული სახდელები.⁴

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის“ მსგავსად, ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპებს, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა ხდებოდეს გარკვეული პრინციპების დაცვით:

- კანონიერება და სამართლიანობა – მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონის ფარგლებში;
- გამჭვირვალობა – მონაცემთა სუბიექტისთვის ნათელი უნდა იყოს დამუშავების პროცესი;
- მიზნობრიობა – მონაცემები უნდა შეგროვდეს მხოლოდ კონკრეტული, ნათლად განსაზღვრული მიზნებისთვის;
- მონაცემთა მინიმუმაცია – უნდა დამუშავდეს მხოლოდ აუცილებელი მოცულობის მონაცემები;
- სიზუსტე – მონაცემები უნდა იყოს ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში განახლებული.⁵

პერსონალურ მონაცემთა დაცვა წარმოადგენს მუდმივად განვითარებად სფეროს, რომელიც მოითხოვს როგორც საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, ისე ტექნოლოგიური დაცვის მექანიზმების განვითარებას. თითოეული ადამიანის პასუ-

1 ბერიძე, მ., 2023. პერსონალურ მონაცემთა დაცვის თანამედროვე გამოწვევები ციფრულ ეპოქაში. სამართლის ჟურნალი, 2 (15), გვ. 78.

2 Schwartz, P., 2023. Personal Data Protection Law in a Global Context. 4th Edition. Berlin: Springer Publishing, გვ. 45.

3 გიორგაძე, ნ., 2023. პერსონალური მონაცემების კატეგორიზაცია და დაცვის მექანიზმები. ქართული სამართლის მიმოხილვა, 1(25), გვ. 45.

4 Kuner, C., 2022. International Data Privacy Law. 3rd Edition. Oxford: Oxford University Press, გვ. 123.

5 პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=2>> [წვდომის თარიღი 30.10. 2024].

ხისმგებლობაა, იცოდეს და დაიცვას საკუთარი პერსონალური მონაცემები, ხოლო ორგანიზაციები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული პერსონალური მონაცემების სათანადო დაცვა.

პერსონალურ მონაცემთა კლასიფიკაცია სცილდება მხოლოდ ზოგად და განსაკუთრებულ კატეგორიებს. თანამედროვე მიდგომით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მონაცემთა იდენტიფიცირების ხარისხს. პირდაპირი საიდენტიფიკაციო მონაცემები, როგორებიცაა: პირადი ნომერი ან პასპორტის მონაცემები, დაუყოვნებლივ იძლევა პიროვნების იდენტიფიცირების საშუალებას. არაპირდაპირი საიდენტიფიკაციო მონაცემები კი, მაგალითად, გეოლოკაცია ან ონლაინ ქცევის ისტორია, მხოლოდ სხვა მონაცემებთან კომბინაციაში ქმნის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.⁶

განსაკუთრებით საყურადღებოა დინამიკური მონაცემების როლი. ჩვენი ყოველდღიური ონლაინ აქტივობა – საძიებო სისტემაში შეყვანილი მოთხოვნებიდან დაწყებული, სოციალურ მედიაში გატარებული დროით დამთავრებული – ქმნის უნიკალურ ციფრულ პორტრეტს. ეს ე.წ. „ციფრული კვალი“ ხშირად უფრო მეტ ინფორმაციას გვაწვდის ადამიანზე, ვიდრე სტატიკური საიდენტიფიკაციო მონაცემები.⁷

მონაცემთა დაცვის სფეროში მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR), რომელმაც

გლობალური სტანდარტი დაამკვიდრა. GDPR-ის მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლების კუთხით. რეგულაცია განსაზღვრავს ექვს ძირითად საფუძველს: თანხმობას, სახელმეკრულე-ბო ვალდებულებას, კანონიერ ინტერესს, სამართლებრივ მოვალეობას, სასიცოცხლო და საჯარო ინტერესებს.⁸

თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარება ახალ გამოწვევებს წარმოშობს მონაცემთა დაცვის სფეროში, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ხელოვნური ინტელექტის (AI) სისტემების გავრცელებასთან დაკავშირებით.⁹

AI-სისტემები დღეისათვის აგროვებენ და ამუშავებენ უზარმაზარი მოცულობის პერსონალურ მონაცემებს, რაც მნიშვნელოვან რისკებს წარმოქმნის. მაგალითად, სოციალური მედიის ალგორითმები პროფილირების გზით აგროვებენ მომხმარებლების ქცევით მოდულებს, რომლებიც საშუალებას აძლევს კომპანიებს მიიღონ ისეთი ინფორმაცია, რომლის პირდაპირ მოთხოვნაც არ მომხდარა. Facebook-Cambridge Analytica-ს სკანდალი ნათლად წარმოაჩენს, თუ რა მასშტაბის მონაცემთა გაჟონვა შეიძლება მოხდეს AI სისტემებისა და მათი არასათანადო გამოყენების შედეგად.¹⁰

ხელოვნური ინტელექტის მიერ მონაცემთა დამუშავების ძირითადი რისკებია:

- ავტომატიზირებული გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც შეიძლება დისკრიმინაციული იყოს;

6 Kuner, C., 2022. International Data Privacy Law. 3rd Edition. Oxford: Oxford University Press, გვ. 123.

7 ბერიძე, მ., 2023. პერსონალურ მონაცემთა დაცვის თანამედროვე გამოწვევები ციფრულ ეპოქაში. სამართლის ჟურნალი, 2(15), გვ. 78.

8 Volker, J. and Borges, D., 2023. GDPR: A Practical Guide. 2nd Edition. London: Routledge Publishing. გვ. 78.

9 Rosnagel, A., 2022. European Data Protection Law. 5th Edition. Munich: Beck Publishing, გვ. 234.

10 Smith, J., 2024. Cybersecurity and Personal Data. 1st Edition. New York: Wiley Publishing, გვ. 145.

- პერსონალური მონაცემების არაკონტროლირებადი პროფილირება;
- მონაცემთა კონფიდენციალურობის დარღვევა.

ნივთების ინტერნეტი (IoT) კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ჭკვიანი მოწყობილობები – სმარტ საათებიდან საშინაო ტექნიკამდე – აგროვებენ მომხმარებლების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, მათ შორის ჯანმრთელობის, ადგილმდებარეობისა და ყოველდღიური ქცევის შესახებ. მაგალითად, ჭკვიანი თერმომეტრი არა მხოლოდ ტემპერატურას ზომავს, არამედ იძლევა ინფორმაციას სახლში ყოფნის დროისა და ჩვევების შესახებ.

კვანტური გამოთვლები პოტენციურად შეიძლება გახდეს არსებული კრიპტოგრაფიული სისტემების დაშლის საშუალება, რაც კიბერუსაფრთხოების მთავარ გამოწვევად რჩება. კვანტური კომპიუტერები შეძლებენ დღევანდელი დაშიფვრის ალგორითმების გატეხვას, რაც პრაქტიკულად ნიშნავს არსებული მონაცემთა დაცვის სისტემების სრულ გადაფასებას.

მონაცემთა სუბიექტების უფლებები თანდათანობით ფართოვდება. თანამედროვე კანონმდებლობა ითვალისწინებს არა მხოლოდ ინფორმაციაზე წვდომისა და მისი წაშლის უფლებას, არამედ მონაცემთა პორტირების შესაძლებლობასაც. ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს საკუთარი მონაცემების გადატანა ერთი სერვისის მიმწოდებლიდან მეორესთან.

ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მონაცემთა დაცვის კუთხით მუდმივად იზრდება. მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიცია სავალდებულო ხდება მსხვილი ორგანიზაციებისათვის. აუცილებელია

შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება, თანამშრომელთა რეგულარული გადამზადება და ცნობიერების ამაღლება.

მომავალში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება ბალანსის დაცვა ტექნოლოგიურ პროგრესსა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის. ეს მოითხოვს როგორც საკანონმდებლო ბაზის მუდმივ განახლებას, ისე ტექნოლოგიური დაცვის მექანიზმების სრულყოფას და, რაც მთავარია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით.¹¹

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ჩარჩო: შედარებით სამართლებრივი ანალიზი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი რეგულირება მსოფლიოს სხვადასხვა იურისდიქციაში განსხვავებულ მიდგომებს ეფუძნება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სამი ძირითადი მოდელის – ევროპული, ამერიკული და აზიური მიდგომების შედარებითი ანალიზი.

ევროპული კავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR) წარმოადგენს ყველაზე კომპლექსურ და მკაცრ საკანონმდებლო ჩარჩოს. GDPR-ის ფუნდამენტური პრინციპები – კანონიერება, სამართლიანობა და გამჭვირვალობა – ქმნის მყარ საფუძველს მონაცემთა დაცვისთვის. რეგულაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს და სუბიექტთა უფლებების დაცვას.¹²

11 Anderson, R., 2023. Security Engineering: Principles and Practice. 4th Edition. Boston: Pearson Publishing, გვ. 445.

12 Rosnagel, A., 2022. European Data Protection Law. 5th Edition. Munich: Beck Publishing, გვ. 234.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის გლობალური სტანდარტების შედარებისას, ორი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი გამოიყოფა – ევროპის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR) და კალიფორნიის მომხმარებელთა პრაივაცი აქტი (CCPA). მიუხედავად იმისა, რომ ორივე აქტი მიზნად ისახავს მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვას, მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი კონცეპტუალური და პრაქტიკული განსხვავებები.

GDPR წარმოადგენს უფრო ფართო, კომპლექსურ რეგულაციას, რომელიც ვრცელდება ნებისმიერ კომპანიაზე, რომელიც ამუშავებს ევროკავშირის მოქალაქეების პერსონალურ მონაცემებს, მიუხედავად იმისა, თუ სად არის ეს კომპანია დაფუძნებული. აღნიშნული რეგულაცია პრინციპული მიდგომით გამოირჩევა – მომხმარებლის უფლებები ადიქმება როგორც ფუნდამენტური ადამიანური უფლება.

CCPA, თავის მხრივ, უფრო მეტად კონცენტრირებულია კალიფორნიის რეზიდენტების პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე და ძირითად აქცენტს აკეთებს მონაცემთა კომერციული გაყიდვის კონტროლზე. მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში გვაქვს, რომ CCPA მეტ უფლებამოსილებას აძლევს მომხმარებელს საკუთარი მონაცემების გაყიდვის შეჩერების კუთხით.

მსგავსი კანონმდებლობის არსებობა ცხადყოფს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვა გლობალური გამოწვევაა, რომელიც მუდმივ სრულყოფას საჭიროებს ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ.

მთავარი განსხვავებები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი მიმართულებებით:

1. მოქმედების არეალი:

- GDPR – გლობალური მასშტაბი, ევროკავშირის მოქალაქეების მონაცემები;
 - CCPA – კალიფორნიის რეზიდენტების მონაცემები;
2. მონაცემთა სუბიექტის უფლებები:
- GDPR – უფლება მიიღოს ინფორმაცია, წაშალოს, გადაიტანოს მონაცემები;
 - CCPA – უფლება გაეცნოს, წაშალოს, შეზღუდოს მონაცემთა გაყიდვა;
 - სანქციები:
 - GDPR – ჯარიმა 20 მლნ. ევრომდე ან კომპანიის გლობალური ბრუნვის 4%-მდე;
 - CCPA – \$100-დან \$7,500-მდე თითოეულ დარღვევაზე.

საბოლოო ჯამში, ორივე კანონი მიზნად ისახავს მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დაცვას, თუმცა განსხვავებული მიდგომებით და სამართლებრივი მექანიზმებით.¹³

აზიური მოდელი წარმოადგენს ჰიბრიდულ მიდგომას. იაპონიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტი (APPI) და სამხრეთ კორეის პერსონალური ინფორმაციის დაცვის აქტი (PIPA) ევროპულ მიდგომას ეფუძნება, თუმცა ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. ჩინეთის პერსონალური ინფორმაციის დაცვის კანონი (PIPL) კი აერთიანებს GDPR-ის ელემენტებს ეროვნული უსაფრთხოების მკაცრ მოთხოვნებთან.¹⁴

საქართველოს კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ევროპულ სტანდარტებს. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ეფუძნება GDPR-ის ძირითად პრინციპებს,

13 Schwartz, A. and Page, M., 2024. Global Perspectives on Data Protection: A Comparative Analysis. 1st Edition. The Hague: Kluwer Publishing, გვ. 178.

14 Greenleaf, G., 2023. Asian Data Privacy Laws and Comparative Analysis. 2nd Edition. Oxford: Oxford University Press, გვ. 234.

თუმცა გააჩნია გარკვეული თავისებურებები.

2023 წლის ბოლოს მიღებული კანონი პრაქტიკულად სრულად ასახავს ევროპული რეგულაციის მოთხოვნებს, მაგრამ ადაპტირებულია ქართული სამართლებრივი კონტექსტისთვის. კანონის მთავარი სიახლეები მოიცავს:

- მონაცემთა სუბიექტის უფლებების გაფართოებას;
- მონაცემთა დამუშავების პროცესის გამჭვირვალობის გაზრდას;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მკაცრი სტანდარტების დანერგვას;
- ციფრულ გარემოში პრაივაციის დაცვის გარანტიების გაძლიერებას.

კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორებიცაა: მონაცემთა დამუშავების კანონიერება, მიზნობრიობა და პროპორციულობა, რომლებიც სრულად შეესაბამება GDPR-ის ძირითად პრინციპებს.

აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს საქართველოს მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფის გზაზე, რომელიც ქვეყნის ციფრული ეკონომიკის განვითარებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესს ხელს უწყობს.¹⁵

მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაცემა წარმოადგენს განსაკუთრებულ გამოწვევას თანამედროვე ციფრულ სამყაროში. GDPR-ის ადეკვატურობის გადაწყვეტილებები, სტანდარტული სახელშეკრულებო დებულებები (SCCs) და კორპორაციული სავალდებულო წესები (BCRs) ქმნიან საერთაშორისო მონა-

ცემთა გადაცემის სამართლებრივ საფუძველს.¹⁶

სანქციების სისტემაც მნიშვნელოვნად განსხვავდება იურისდიქციების მიხედვით. GDPR ითვალისწინებს განსაკუთრებით მკაცრ ჯარიმებს – გლობალური წლიური ბრუნვის 4%-მდე, მაშინ, როცა სხვა იურისდიქციებში სანქციები შედარებით მსუბუქია.¹⁷

მიუხედავად განსხვავებული მიდგომებისა, შეიმჩნევა გარკვეული კონვერგენცია გლობალურ დონეზე. GDPR-ის გავლენით, მრავალი ქვეყანა ცდილობს საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროპულ სტანდარტებთან, რაც ხელს უწყობს მონაცემთა დაცვის უნიფიცირებული მიდგომის ჩამოყალიბებას.

დასკვნა

თანამედროვე ციფრული ეპოქის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას პერსონალურ მონაცემთა დაცვა წარმოადგენს. წინამდებარე კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი.

პერსონალური მონაცემები, როგორც „ციფრული ოქრო“, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე სამყაროში. ყოველდღიური ონლაინაქტივობების შედეგად დატოვებული ციფრული კვალი ქმნის მნიშვნელოვან საინფორმაციო ბაზას, რომელიც კიბერდანაშაულის მათალი რისკის ქვეშ დგას თანამედროვე დახვეწილი თავდასხმის მეთოდების გათვალისწინებით.

მონაცემთა კატეგორიზაციის თვალსა-

15 ვაშაკიძე, გ., 2022. GDPR-ის გავლენა საქართველოს საკანონმდებლო სივრცეზე. სამართალი და მსოფლიო, 3(18), გვ. 89.

16 კუხიანიძე, თ., 2022. მონაცემთა დაცვის ევროპული და ამერიკული მოდელების შედარებითი ანალიზი. მართლმსაჯულება და კანონი, 4(56), გვ. 112.

17 Rosnagel, A., 2022. European Data Protection Law. 5th Edition. Munich: Beck Publishing, გვ. 234.

ზრისით, გამოიყოფა ზოგადი კატეგორიის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია და განსაკუთრებული კატეგორიის სენსიტიური მონაცემები. ამასთან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დინამიური მონაცემები, რომლებიც ციფრული კვალის სახით გროვდება.

საკანონმდებლო რეგულირების კუთხით, მსოფლიოში გამოიკვეთა სამი ძირითადი მოდელი: ევროპული ყოვლისმომცველი მიდგომა (GDPR), ამერიკული სექტორული რეგულირება და აზიური ჰიბრიდული მოდელი. საქართველოს კანონმდებლობა თანდათანობით უახლოვდება ევროპულ სტანდარტებს.

თანამედროვე გამოწვევებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური პროგრესისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ბალანსის დაცვა. ასევე აქტუალურია ტრანსსასაზღვრო მონაცემთა გადაცემის რეგულირება და ახალი ტექნოლოგიების (ხელოვნური ინტელექტი, საგანთა ინტერნეტი, ბლოკჩეინი) გავლენა მონაცემთა დაცვაზე.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სხვადასხვა იურისდიქციაში არსებული სანქციების სისტემების განსხვავებულობაც.

სამომავლო ტენდენციების ანალიზი ცხადყოფს გლობალური სტანდარტების ჰარმონიზაციისკენ სწრაფვას. ამჟამად მონაცემთა დაცვის მექანიზმების მუდმივი განახლების საჭიროება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობა.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვა საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს საკანონმდებლო რეგულირებას, ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებსა და საზოგადოების აქტიურ ჩართულობას. გლობალური ტენდენცია მიემართება უფრო მკაცრი და უნიფიცირებული სტანდარტების დამკვიდრებისკენ, რაც აუცილებელია ციფრულ ეპოქაში მოქალაქეთა უფლებების სათანადო დაცვის უზრუნველსაყოფად.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერიძე, მ., 2023. პერსონალურ მონაცემთა დაცვის თანამედროვე გამოწვევები ციფრულ ეპოქაში. სამართლის ჟურნალი, 2(15).
- გიორგაძე, ნ., 2023. პერსონალური მონაცემების კატეგორიზაცია და დაცვის მექანიზმები. ქართული სამართლის მიმოხილვა, 1(25).
- ვაშაძე, გ., 2022. GDPR-ის გავლენა საქართველოს საკანონმდებლო სივრცეზე. სამართალი და მსოფლიო, 3(18).
- კუხიანიძე, თ., 2022. მონაცემთა დაცვის ევროპული და ამერიკული მოდელების შედარებითი ანალიზი. მართლმსაჯულება და კანონი, 4(56).
- ჯავახიშვილი, დ., 2023. მონაცემთა დაცვის ოფიცრის როლი თანამედროვე ორგანიზაციებში. ადამიანი და კონსტიტუცია, 2(12).
- Anderson, R., 2023. Security Engineering: Principles and Practice. 4th Edition. Boston: Pearson Publishing.
- Greenleaf, G., 2023. Asian Data Privacy Laws and Comparative Analysis. 2nd Edition. Oxford: Oxford University Press.
- Hildebrandt, M., 2022. Data Categorization in the Digital Age. 1st Edition. Cambridge: Cambridge University Press.
- Kuner, C., 2022. International Data Privacy Law. 3rd Edition. Oxford: Oxford University Press.
- Mayer-Schonberger, V. and Cukier, K., 2023. Big Data: A Revolution That Will Transform How We Live, Work, and Think. 3rd Edition.

London: John Murray Publishing.

11. Rosnagel, A., 2022. European Data Protection Law. 5th Edition. Munich: Beck Publishing.
12. Schwartz, A. and Page, M., 2024. Global Perspectives on Data Protection: A Comparative Analysis. 1st Edition. The Hague: Kluwer Publishing.
13. Schwartz, P., 2023. Personal Data Protection Law in a Global Context. 4th Edition. Berlin: Springer Publishing.
14. Smith, J., 2024. Cybersecurity and Personal Data. 1st Edition. New York: Wiley Publishing.
15. Volker, J. and Borges, D., 2023. GDPR: A Practical Guide. 2nd Edition. London: Routledge Publishing.

ინტერნეტ რესურსი:

1. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://pdps.ge/files/content/GDPR-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98_1711614354.pdf – [წვდომის თარიღი 26.10.2024].

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/document/view/30346?publication=36> [წვდომის თარიღი 21.10.2024].
2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=2> [წვდომის თარიღი 30.10.2024].
3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [წვდომის თარიღი 25.10.2024].

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Anderson, R., 2023. Security Engineering: Principles and Practice. 4th Edition. Boston: Pearson Publishing. (in English)
2. Beridze, M., 2023. Modern Challenges of Personal Data Protection in the Digital Era. Law Journal, 2(15). (in Georgian)
3. Giorgadze, N., 2023. Categorization of Personal Data and Protection Mechanisms. Georgian Law Review, 1(25). (in Georgian)
4. Greenleaf, G., 2023. Asian Data Privacy Laws and Comparative Analysis. 2nd Edition. Oxford: Oxford University Press. (in English)
5. Hildebrandt, M., 2022. Data Categorization in the Digital Age. 1st Edition. Cambridge: Cambridge University Press. (in English)
6. Javakhishvili, D., 2023. The Role of Data Protection Officer in Modern Organizations. Human and Constitution, 2(12). (in Georgian)
7. Kukhianidze, T., 2022. Comparative Analysis of European and American Data Protection Models. Justice and Law, 4(56). (in Georgian)
8. Kuner, C., 2022. International Data Privacy Law. 3rd Edition. Oxford: Oxford University Press.
9. Mayer-Schonberger, V. and Cukier, K., 2023. Big Data: A Revolution That Will Transform How We Live, Work, and Think. 3rd Edition. London: John Murray Publishing. (in English)
10. Rosnagel, A., 2022. European Data Protection Law. 5th Edition. Munich: Beck Publishing. (in English)
11. Schwartz, A. and Page, M., 2024. Global Perspectives on Data Protection: A Comparative Analysis. 1st Edition. The Hague: Kluwer Publishing. (in English)
12. Schwartz, P., 2023. Personal Data Protection Law in a Global Context. 4th Edition. Berlin: Springer Publishing. (in English)
13. Smith, J., 2024. Cybersecurity and Personal Data. 1st Edition. New York: Wiley Publishing. (in English)
14. Vashakidze, G., 2022. GDPR's Impact on Georgia's Legislative Framework. Law and World, 3(18). (in Georgian)
15. Volker, J. and Borges, D., 2023. GDPR: A Practical Guide. 2nd Edition. London: Routledge Publishing. (in English)

Internet Resources:

1. Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation). [Online] available at: https://pdps.ge/files/content/GDPR%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98_1711614354.pdf [Accessed 26.10.2024]. (in Georgian)

Normative Materials:

1. Constitution of Georgia. [Online] available at: <https://www.matsne.gov.ge/document/view/30346?publication=36> [Accessed 21.10.2024]. (in Georgian)
2. Law of Georgia on Personal Data Protection. [Online] available at: <https://www.matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=2> [Accessed 30.10.2024]. (in Georgian)
3. Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. [Online] available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [Accessed 25.10.2024]. (in Georgian)